„საბუღალტრო აღრიცხვა და საგადასახადო საკითხები“
ტრენინგები ტრადიციული რეწვის ბიზნესის და დიზაინის სფეროს წარმომადგენლებისთვის
აპრილი, 2021

გამოცხადება

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი რეწვის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების და ხელნაკეთი პროდუქციის სფეროში მომუშავე დამწყებ მეწარმეებს იწვევს 4-დღიან ონლაინ ტრენინგზე მონაწილეობის მისაღებად. ტრენინგების თემაა: **„საბუღალტრო აღრიცხვა და საგადასახადო საკითხები ტრადიციული რეწვის ბიზნესისთვის“**

პროგრამა ხორციელდება ცენტრის მიმდინარე პროექტის ***„ახალი შესაძლებლობები რეწვის ინდუსტრიის განვითარებისთვის“*** ფარგლებში, USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით.

პროგრამის მიზანია აამაღლოს ტრადიციულ რეწვასა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ინდუსტრიაში დასაქმებულთა ცოდნა საბუღალტრო აღრიცხვასა და საგადასახადო საკითხებზე, რათა მათ შეძლონ წარმატებული ბიზნესის წარმოება ქვეყანაში არსებული საგადასახადო სისტემის მოთხოვნების შესაბამისად.

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

- ბუღალტრული აღრიცხვის არსი, როლი და ადგილი საწარმოში;
- ბუღალტრული აღრიცხვის საჭიროება სხვადასხვა ტიპის მეწარმე სუბიექტებისთვის;
- ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების საფუძვლები;
- მიმდინარე აქტივების აღრიცხვის საფუძვლები;
- გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის საფუძვლები;
- გადასახადები, მათი არსი, გადამხდელები, დაბეგვრის ობიექტი, ადმინისტრირების წესები და შეღავათები დაბეგვრაში;
- საგადასახადო აღრიცხვის წესები და ინსტრუმენტები;
- საგადასახადო სამართალდარღვევები და პასუხისმგებლობა;
- ვალდებულებების აღრიცხვის საფუძვლები;
- კომპანიის შედეგების აღრიცხვის საფუძვლები;
- ფულადი სახსრების მართვის საფუძვლები;

ვის შეუძლია მონაწილეობა?

პროგრამაში მონაწილეობა შეგიძლიათ თუ თქვენ ხართ ტრადიციული რეწვის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ხელნაკეთი და დიზაინერული პროდუქციის მეწარმე, აღნიშნულ სფეროში ბიზნესის დაწყების მსურველი.

პროგრამა განხორციელდება 2021 წლის 22, 23, 27 და 28 აპრილს და მოიცავს ოთხ 4-საათიან ონლაინ ტრენინგს.

ტრენინგებზე დასწრების მსურველებმა **2021 წლის 20 აპრილის** ჩათვლით უნდა შეავსოთ განაცხადის ფორმა ბმულზე: https://bit.ly/31yrbbA

საკონტაქტო ინფორმაცია:
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
www.gaccgeorgia.org
მის: ნიკო ნიკოლაძის ქ. #7, თბილისი- 0108, საქართველო
ტელ: (+995 32) 293 13 35;
(მობ.:) 593 397 153; 555 455 843
ელ. ფოსტა: info@gaccgeorgia.org

აღნიშნულ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებას.